სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №100

ქ. თბილისი 18 ივლისი 2018 წ.

2018 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „2018 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 11 მაისის N55 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის 2018 წლის 16 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N911818) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2018 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

ტექნიკური ექსპერტიზის შედეგები

I ლოტი - მოკლევადიანი ინდივიდუალური ვიზიტი საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის (შემდგომში მობილობა)

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	MG-TG-18-1715	კომპლექსური ორმაგისხივტეხის განაწილების განსაზღვრის მეთოდი პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული ელემენტის საფუძველზე	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო
2	MG-TG-18-908	თამაში, სოციალური მხარდაჭერა და ოჯახური კლიმატი, როგორც სკოლამდელი ბავშვების სოციო-მორალური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო
3	MG-TG-18-1334	პოსტტრავმული ნარატივების შექმნა (ქეისი: 2008 წლის აგვისტოს ომი)	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო

II ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზება

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	MG-ISE-18-725	მაინდფულნესზე დაფუძნებული სტრესის შემსუბუქების ტრეინინგის მასწავლებელთა მომზადება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო

2	MG-ISE-18-453	„სისტემური ბიოლოგია-21 საუკუნის მედიცინისა და ჯანდაცვის ფუნდამენტური ბაზისი“	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო
3	MG-ISE-18-261	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სკოლა "სიმსივნის იმუნოთერაპია და იმუნომონიტორინგი" (სითიმ)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამო